ცვლილება შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ ინტერნეტის გლობალურ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადებაში

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) 2013 წლის 1 აგვისტოს გამოქვეყნებულ შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ ინტერნეტის გლობალურ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადებაში („**მოწვევის ოფერტა**“) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. შეიცვალოს მოწვევის ოფერტის 3.5 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3.5. „ონლაინი“ ინტერნეტის გლობალურ რესურსთან დაშვების მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 10 მაისის N4 დადგენილების, „ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესების დამტკიცების თაობაზე“, შესაბამისად შემდეგი პარამეტრებით:

ა) ჯიტერი (მილიწამი)	<50
ბ) დაყოვნება (მილიწამი)	<150
გ) დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი (%)	<3
დ)მომსახურების ხელმისაწვდომობა (კალენდარულ თვეში, „საპატიო მოცდენის“ ხანგრძლივობის გარეშე)	99.5 %

2. ეს დოკუმენტი წარმოადგენს მოწვევის ოფერტის განუყოფელ ნაწილს.
3. ამ დოკუმენტით განსაზღვრული ცვლილებები ძალაში შედის 2018 წლის 13 აგვისტოდან.